სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტია. წელიწადი პირველი. გრძოლაში ჰპოვებ შენს უფლებას.

სამშაბათი, 29 ოქტომბერი, 1918 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შრომა

№ 63

გაზეთის ფასი 40 კაპ.

გაზეთის ფასი: ერთი თვით 9 მან., ცალკე ნომერი ყველგან 40 კაპ.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტით სტრიქონი 1 მან., მეოთხეზე 80 კაპ. სამგლოვიარო განცხადება 15 მან.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგ მისამართით უნდა გამოგზავნონ: Тифлис, Контора газ. „Шрома", Баронская ул., № 16. სხვა მისამართით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადი მოლაპარაკება შეიძლება დილის 10—11 საათამდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს.

რედაქციის მისამართი: Тифлис, Редакція газ. „Шрома", Баронская ул. № 16.

ორგანო საქართველოში მომქმედ სოც.-რევ. პარ. ცენტრალურ კომიტეტისა

რედაქციისაგან.

მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენს გაზეთზე მომუშავე ასოთ-ამწყობები თავიდან ძლიერ შეღავათიან პირობებში იყვნენ (ფულს წინდაწინ ღებულობდენ, გაზეთზე ყოველთვის 1—2 ზედმეტი მუშა იყო) მუშების ერთმა ნაწილმა რედაქციისათვის სრულიად მოულოდნელად მუშაობას თავი მიანება: ზოგმა მათგანმა თავის ანგარიში მიიღო და რედაქციის გაუფრთხილებლათ მუშაობა მიატოვა, ზოგმა კი პირველ ნოემბრამდი ფული მიიღო და სადღაც გაიპარა. მუშების ასეთი უტიფრობის გამო, რედაქცია იძულებულია დროებით გაზეთის ნახევარი ფურცელი გამოსცეს, რისთვისაც ბოდიშს იხდის მკითხველების წინაშე.

საქართველოში მომქმედ სოც.-რევ. პარტიის ყველა ორგანიზაციებს

ამხანაგებო!

თანახმად ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისა, ამა წლის 10 დეკემბერს ქ. თბილისში

ჯანმრთელობა საქართველოში მომქმედ სოც.-რევ. პარტიის ორგანიზაციების

მეორე ყრილობა.

დღიური წესრიგი:

1. ცენტრალური კომიტეტის მოხსენება.
2. საპარლამენტო ფრაქციის მოხსენება.
3. მთავრობაში წარმომადგენლის მოხსენება.
4. პროგრამული საკითხები (მიწის, მუნიციპალური და სხვ.).
5. პარლამენტი და პარლამენტარიზმი.
6. პარტიის ტაქტიკა.
7. ახალი საორგანიზაციო წესდების შემუშავება.
8. ინტერნაციონალი.
9. პარტიული პრესა.
10. დამფუძნებელი კრება (კანდიდატთა სიის შედგენა, საარჩევნო კომპანია).
11. ფინანსები.
12. პარტიული მუშაობა.
13. მოხსენებები ადგილებიდან.
14. მიმდინარე საკითხები.
15. ცენტრალური კომიტეტის არჩევნები.

წარმომადგენლობა: ყოველი ორგანიზაცია გზავნის თითო წარმომადგენელს. ორგანიზაციები, რომლების წევრთა რიცხვი 200 აღემატება, ყოველ 200-ზე გზავნიან თითო წარმომადგენელს.

ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი.

ახალი კლუბი

(სახამდრო შენობა)

ოთხშაბათს, 30 ოქტომბერს, სოციალისტ რევოლიუციონერთა გზით „შრომას" ფონდის გასაძლიერებლად

გაიმართება

სიმფონიური კონცერტი

ა. ა. ცენოვსკის ხელმძღვანელობით

მონაწილეობას მიიღებენ ოპერისა და დრამის მსახიობნი: ბ. ბ. ზალინსკი, ვრინსკი, სობინინა, ჭანნა სკვორეკაია, ხვანიოდა, ეკვენი სერგეევი, ზარდალოვი და სხვ.

როიალთან: ა. ა. ცენოვსკი, ე. დ. სობინ-გუს

კონფერანსიე სერ გრიფ

ამერიკული აუქციონ

პასუხისმგებელი გამგენი:

ქალ. მ. ლორთქიფანიძისა და ექიმი ი. აბაკელია.

ქ. თბილისი, 29 ოქტომბერი.

უკანასკნელი დროის სწრაფლ ცვალებად მოვლენათა შორის მეტად მნიშვნელოვანი ფაქტია ზოგიერთი ნეიტრალური სახელმწიფოს მიერ ჩვენი დამოუკიდებლობის აღიარება. როგორც ვიცით პირველად ცენტრალური კოალიციის სახელმწიფოებმა და შემდეგ რუსეთმაც აღიარეს საქართველოს დამოუკიდებლობა. ამ ამბავმა დიდ საგონებელში ჩააგდო მაშინ ჩვენი დამოუკიდებლობის მტერნი და მოწინააღმდეგენი. მათ ვერ წარმოედგინათ უოპეკოთ ჩვენი არსებობა. ასეთი აღიარება და ცნობა კი ფრთებს კვეცდა რამდენიმედ მათ იმპერიალისტურ ზრახვებს. დღეს, როგორც საქართველოს პარლამენტის უკანასკნელ სხდომაზე საგარეო მინისტრმა გვაცნო, ჩვენს დამოუკიდებლობას ცნობენ შვეცია, დანია და შვეიცარია თვით ინგლის-საფრანგეთის წარმომადგენლებიც, როგორც ირკვევა, თანაგრძნობით ეპყრობიან ჩვენს დამოუკიდებლობას...

ამნაირად ჩვენი დამოუკიდებლობა იცნეს: ცენტრალური კოალიციის სახელმწიფოებმა და ნეიტრალურმა სახელმწიფოებმაც. მას თანაგრძნობით შეხვდენ ინგლის-საფრანგეთის წარმომადგენლებიც...

ამის შემდეგ სწორედ რომ სირცხვილია საქართველოს დემოკრატიის თავისუფალ და დამოუკიდებელ არსებობას ებრძოდენ ზოგიერთი „სოციალისტები"!..

პრესა.

„ერთობაში" მოთავსებულია წერილი — „ორმაგი პოლიტიკა", რომელშიც დახასიათებულია დაშნაკელების პოლიტიკა ახლო წარსულში. წერილში მრავალი ფაქტებია მოყვანილი დასამტკიცებლად დაშნაკელების ორმაგ პოლიტიკისა, დაშნაკელებს ჩვენ კარგათ ვიცნობთ, გაცნობილი ვართ აგრეთვე მათ პოლიტიკასთან, რომელმაც დაღუპვის კარებამდე მიიყვანა მრავალ-ტანჯული სომხის ხალხი, ამიტომ ჩვენთვის „ერთობის" წერილი არსებითად არავითარ ინტერესს არ წარმოადგენს, მხოლოდ ჩვენი ყურადღება მიიქცია აღნიშნულ წერილში აწერილმა ინციდენტმა, რომელსაც, ამ რამოდენიმე დღის წინად, ადგილი ჰქონდა მანთაშევის ქარვასლაში ქ. თბილისში:

„ინციდენტი, რომელსაც ადგილი ჰქონდა მანთაშევის შენობაში 21 ოქტომბერს სწერს „ერთობა" — აღმაშფოთებელია. როგორც მკითხველებმა უკვე იციან, ამ შენობაში სომხეთის მთავრობას ჰქონებია საქონლის საწყობი, სადაც მრავლათ მოიპოვება თურმე როგორც ტყვიის მფრქვეველები, ისე ზარბაზნები, და ამავე შენობას დარაჯობენ სომხეთის რესპუბლიკის ჯარისკაცები. ჩვენ არ ვიცით, რამდენათ სამართლიანია, რომ სომხეთის მთავრობას ჩვენს დედა ქალაქში აქვს იარაღის საწყობი. ჩვენ ჯერ არც ის ვიცით თუ საიდან დაიჩემა სომხის მთავრობამ ჩვენს რესპუბლიკაში იარაღი. როგორც ვიცით ხსენებული იარაღი ძათ ყარსიდან და ალექსანდრეპოლიდან არ შემოუტანიათ აქ მაშინ, როდესაც ამიერ-კავკასია ერთ რესპუბლიკას წარმოადგენდა. აშკარაა ის ქალაქ თბილისის საწყობების იარაღებია, ბატონ სომხების მიერ დაჩემებული, რასაც ახლო მომავალში აუცილებლათ ფარდა აეხდება. მაგრამ ჩვენ უფრო გვაინტერესებს მეორე საკითხი: თუ რამდენათ არ ეწინააღმდეგება ჩვენი მთავრობის მიერ ნებადაურთველათ ჩვენს ტერიტორიაზე სხვისი შეიარაღებული ძალის ყოლა ჩვენს სუვერენობას და დამოუკიდებლობას. როგორც ვიცით, სამხედრო სამინისტრომ ჯერ კიდევ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველ დღეებში გასცა განკარგულება, რომ სომხის შეიარაღებული ძალა საქართველოდან გასულიყო, მაგრამ, როგორც ვხედავთ, ისინი დღესაც ჩვენ დედა-ქალაქ თბილისში ბრძანებულან და „მოვალეობასაც" კი ასრულებენ და მათ საწყობს დარაჯობენ. ამ ვაჟბატონების თავხედობა იქამდისაც კი მივიდა, რომ მილიციის უფროსი საწყობებში არ შეუშვეს, სადაც ვიღაც ჯარის-კაცი სიხარულიძე — კარაპეტიანცი ჩვენი ადმინისტრაციის დაუკითხავათ დაუტუსაღებიათ და სარდაფში ჩაუმწყვდევიათ. საქმეში რომ არ ჩარეოდენ შინაგან საქმეთა მინისტრი, ქალაქის თავი და სომხეთის დიპლომატიური წარმომადგენელი, სისხლის ღვრა აუცილებელი იყო, რისთვისაც ტყვიისმფრქვეველებიც კი დასდგეს სომხის ჯარისკაცებმა. და ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთი მოქმედება არის სახელმწიფოში სახელმწიფოს შექმნა, რაც ერთ დღესაც არ არის დასაშვები ჩვენი მთავრობის მიერ.

რასაკვირველია, ჩვენ არც უარს ვყოფთ დაარც ვადასტურებდით იმ განმარტებას, რომელიც „ერთობამ" გაუკეთა აღნიშნულ ინციდენტს, თავის კომპეტენტიურ სიტყვას გამოძიება იტყვის, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია არ გაუსვათ ხაზი ერთ გარემოებას. იმ დღეს, როდესაც ეს ინციდენტი მოხდა, საღამოს სოც.-დემ. პარტიის წარმომადგენელმა თბილისის ქალაქის თავმა ნ. ელიავამ ვრცელი მოხსენება გაუკეთა მანთაშევის სახლში მომხდარ ინციდენტის შესახებ ქალაქის საბჭოს დედა აზრი ინციდენტისა ის იყო, ვითომ მთელი ინციდენტი გაუგებრობაზე ყოფილიყო აგებული, თან ბ. ელიავამ მთელ ისტორიას კურიოზული და სასაცილო ხასიათი მისცა და კიდევაც ბევრი აცინა საბჭო და განსაკუთრებით მისი ესერებდაშნაკელების ფრთა, თითქმის სასაცილო როლში გამოვიდა თვით ქალაქის მილიცია და შინაგან საქმეთა სამინისტრო. ეხლა კი „ერთობა" სულ სხვა ელფერს, სულ სხვა ხასიათს აძლევს მომხდარ ინციდენტს. არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ ამ წინააღმდეგობას ნ. ელიავას და „ერთობის" მიერ აღნიშნულ ინციდენტის გაშუქებას და ახსნას სწორეთ ორმაგ პოლიტიკის ელფერი აქვს. იბადება კითხვა — ვინ უფრო გულ წრფელია ბ. ელიავა, როდესაც ის კურიოზულ ხასიათს აძლევს 21 ოქტომბრის ინციდენტს, თუ „ერთობა," რომელმაც ამ ინციდენტში დაშნაკლების მხრივ თითქმის მოღალატეობა დაინახა?

საქართველოს პარლამენტი

სომეხ — ქართველთა ურთიერთობა.

შაბათს, 26 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე გაიხსნა საქართველოს პარლამენტის არაჩვეულებრივი სხდომა, რომელზედაც მოხსენება გაუკეთა მთავრობის წარმომადგენელმა ქართველებსა და სომხებს შორის მომხდარ კონფლიქტის შესახებ. სხდომას დაესწრო თითქმის ყველა წევრები მთავრობისა, ყველა ფრაქციები მოვიდენ სრული შემადგენლობით. უწყებათა „ლოჟები" გაივსო წარმომადგენლებით. გარეშე საზოგადოებით ქანდარაზე და ქვევით გაჭედილი იყო.

7 საათზე და 40 წუთზე გაიხსნა პარლამენტის სხდომა. მთავრობის სახელით მოხსენება გააკეთა შინაგან და საგარეო საქმეთა მინისტრმა ნ. რამიშვილმა.

„მოქალაქენო, პარლამენტის წევრნო — დაიწყო მან — ამა წლის 18 ოქტომბერს სომხეთის რეგულიარულმა ჯარმა მოსაზღვრე ხიდიდან სოფ. კობერამდე დაიკავა საქართველოს ტერიტორიის ნაწილი. ყველაფერი ეს მოხდა ისე, რომ მთავრობას არ მიუღია მოწინააღმდეგისაგან რაიმე ცნობა, პირიქით, ჩვენ საბუთი გვაქ აშკარათ განვაცხადოთ, რომ ამ ადგილების დაკავება მოხდა ოსმალეთთან შეთანხმებით. ამ ხასიათის და აზრის იყო ბ. ჯამალიანის განცხადება საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგთან. თქვენთვის გასაგები იქნება ის აღშფოთება, რომელიც გამოიწვია მთავრობაში სომხეთის რესპუბლიკის ასეთმა ნაბიჯმა. ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ თუ მოსაზღვრე სახელმწიფო გადადგამს რაიმე ნაბიჯებს, რომელიც ჩვენს ცხოვრებას შეეხება — ეს მოხდებოდა ჩვენთან შეთანხმებით. სამწუხაროთ, ეს თვალსაჩინო მოხდა სრულიათ გაუფრთხილებლათ და, როგორც მოგახსენეთ, სომხების ჯართა ნაწილებმა დაიკავეს ჩვენი ტერიტორიის ნაწილი. აქ ვალდებული ვარ საჯაროთ განვაცხადო, რომ თბილისის გუბერნია მთავრობას უდავო ტერიტორიათ მიაჩნია და ეს უნდა იცოდეს ყველამ. მთავრობამ მიღებული ცნობის შემდეგ მიმართა სომხეთის მთავრობას განსაკუთრებული ნოტით, რომელშიაც აღნიშნა, რომ ამ საკითხის გადაწყვეტა სასურველი და საჭიროა შეთანხმებით და არა იარაღით. ამით ვსთხოვეთ სომხეთის მთავრობას ბრძანება გაეცა და შეეჩერებია თავისი ჯარების მსვლელობა. მთავრობა თან დასძენდა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ გავიგებთ მათ ნაბიჯებს, როგორც ჩვენდამი მტრულ მოქმედებას. ამის საპასუხოთ სომხეთის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა ჯამალიანმა განაცხადა, რომ საჭიროა ამ საკითხის მშვიდობიანის გზით გადაწყვეტა მიუხედავათ ასეთი განცხადებისა, ჩვენ დღემდისაც არ მიგვიღია პასუხი სომხეთის რესპუბლიკიდან და აუცილებელი ნაბიჯები, რომელნიც მას

უნდა გადაედგა ამ შემთხვევაში, გადადგმული არ არის. რაც აშკარა შეიქნა ჩვენთვის სომხეთის ასეთი მოქმედება, რაც მათმა ჯარმა დაიკავა ჩვენი ჯარის მიერ წინეთ დაკავებული ადგილები, ჩვენ იძულებული შევიქენით გაგვეგზავნა იქ ჯარი იმ დავალებით, რომ დაეცალათ სომხების მიერ დაკავებული ტერიტორია და საჭიროების და მიხედვით გადაედგათ შესაფერისი ნაბიჯები. ჯარი წავიდა, ჯავშნიანი მატარებლის უფროსმა გოლუაძემ კობერთან ულტიმატუმით მიმართა სომხის ჯართა ნაწილებს უკან დაეხიათ და გადასულიყვენ წინანდელ ხაზს იქით, ეს ულტიმატუმი ცოტა ხნის შემდეგ შესრულებული იქნა. ჩვენ ვფიქრობდით, რომ საკითხი მშვიდობიანის გზით გადაწყვეტის სტადიაში გადავიდა, ამის იმედი მით უფრო მოგვეცა, რომ 24 ოქტომბერს ქაჩაზნუნი დეპეშით გვატყობინებდა. რომ ის თანახმაა მშვიდობიანის გზით გადასწყდეს ეს საკითხი. ის გვთხოვდა, რომ გაჩერებულიყო ჩვენი ჯარი და სომხეთის ნაწილებისთვის კი დაგვეცლევინებინა წინეთ ოსმალების მიერ დაკავებული ხაზი. მინისტრთა თავმჯდომარეს მაგიერ სამხედრო მინისტრმა აცნობა ქაჩაზნუნს, რომ მან ბრძანება გასცა ქართველ ჯარებმა არ დაიწყონ სამხედრო მოქმედება და არ წავიდენ წინ, თუ სომეხთა ნაწილები არ შემოუტევენ. მოულოდნელათ სომხეთის ჯარის ნაწილებმა მაინც შემოუტიეს ჩვენებს და მოითხოვეს კორინჯის დაცლა. ამავე დროს მღელვარება დაიწყო სანაინის რაიონში, ჩვენ კიდევ შევატყობინეთ სომხეთის მთავრობას, რომ ჩვენ ამ საკითხის გადაწყვეტა მშვიდობიანის გზით გვსურს. გაიგზავნა განსაკუთრებული კაცი ერევანში. იმავე დროს გამოვაცხადეთ სამხედრო წესები ბორჩალოს მაზრაში. შევსწყვიტეთ შენების მიცემა სომხეთზე. მთავრობა მტკიცეთ სდგას და იცავს დებულებას—შეუძლებელია და მიუღებელია ამ საქმის ბრძოლით გადაწყვეტა. ყოველივე დავა საზღვრების შესახებ გადაწყვეტილ უნდა იქნეს თანხმობით. მთავრობა იმედს გამოსთქვამს რომ გაიმარჯვებს გონიერება, მეორე მხარეც ამ გზას დაადგება და ეს კონფლიქტი მშვიდობიანათ დამთავრდება. (ტაში).

სამხედრო მინისტრი გიორგაძე აცხადებს, რომ საქართველომ აღიარა სამუდამოთ თავისი ნეიტრალიტეტი, რომ მას არ სურს სხვებზე იბატონოს მაგრამ ჩვენი საზღვრების ხელ-უხლებ უზრუნველ ყოფილი უნდა იყოს. ლობა ამ იდეით გავზარდეთ ჩვენი ჯარი და ის იცავს დღეს ჩვენ საზღვრებს, ჩვენ რევოლიუციით მონაპოვარს და თავისუფლებას, ჩვენ ამ კონფლიქტის პროცესში რამოდენიმეჯერ გვქონდა ფორმალური საბამი ომი გამოგვეცხადებინა სომხეთისთვის და საომარი მოქმედება დაგვეწყო. ეს ჩვენ არ ვქენით და განვაგრძობთ მშვიდობიანი გზით სვლას. ასე ვიართ, სანამ შესაძლებელი იქნება და თუ საქმემ მოითხოვა ჩვენი ჯარი მზათაა დაიცვას სამშობლო, რევოლიუცია და დამოუკიდებულება (საზოგადოება და პარლამენტი მრავალჯერ აწყვეტინებს მინისტრს ტაშის კვრით სიტყვას). შემდეგ გამოდიან ფრაქციათა წარმომადგენლები, რომელნიც მხარს უჭერენ მთავრობის ნაბიჯებს. ს.-რ. ფრაქციის წარმომადგენელი ი. გობეჩია მოითხოვს, რათა არჩეულ იქნას სპეციალური კომისია საზღვრების გამოსარკვევათ და დაუყონებლივ შესულიყოს იარაღის თამაში.

დასასრულ პარლამენტმა მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც მიზანშეწონილათ აღიარა მთავრობის ყველა ნაბიჯები.

ამავე სხდომაზე საგარეო საქ. მინისტრმა წაიკითხა მოხსენება, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარეს შვეციამ, დანიამ და შვეიცარიამ. ახლო მომავალში ველით ასეთსავე ცნობას ინგლისს-საფრანგეთისაგან.

დაშნაკელთა ავანტიურა და ჩვენი შოვინისტები.

სომხების ჯარის ჩვენ საზღვრებში შემოჭრამ სულ აურია ჭკუა-გონება ჩვენს შოვინისტებს. დაშნაკელების ავანტიურა ისინი მზათ არიან მოახვიონ თავს სომხის დემოკრატიას, მრავალ-ტანჯულ სომხის ხალხს. ჩვენი შოვინისტები სცდილობენ ყოველივე განსაცდელი, რაც კი დაატყდება თავს ჩვენს სამშობლოს, გამოიყენონ იარაღათ სოციალისტების წინააღმდეგ, მთავრობის პრესტიჟის დასაცემად, ამიტომ, თავისთავად ცხადია, ისინი არ მოერიდებიან არავითარ საშვალებას, რომ ჩვენს და სომხებს შორის ჩამოვარდნილი უთანხმოება რაც შეიძლება უფრო გააღრმავონ და გამოიყენონ აღნიშნულ მიზნისათვის. ამ დროს, რასაკვირველია, შოვინისტები არ უწევენ ანგარიშს იმას თუ რა უბედურება შეუძლია მოუტანოს დემოკრატიას შოვინისტების სულისკვეთებამ, მათი ასეთმა მისწრაფებამ და ამ სულისკვეთების შესაფერისმა მოქმედებამ. ხალხური თქმულება—მტერ-მოყვარე ჭირში იცნობაო—სწორედ რომ ჩვენს შოვინისტებზეა გამოჭრილი. სწორედ ასეთი შემთხვევა, როგორც ჩვენს და სომხებს შორის ჩამოვარდნილი უთანხმოებაა, ამჟღავნებს ჩვენი შოვინისტების გულის ნადებს, მათ დამოკიდებულებას ჩვენი დემოკრატიისადმი, მათ აგრესიულ ინსტიქტებს ჩვენ მეზობელ ერების დემოკრატიის წინააღმდეგ. ეხება რა არსებულ უთანხმოებას ჩვენ და სომხებს შორის, კრეაქციონერ შოვინისტების ბელადი ბ. ვეშაპელი „კლდის“ მე-№ 7 შემდეგი სახით ახასიათებს სომხის ერის მისწრაფებას და მიზანს: „არ უნდათ მიხვდნენ (იგულისხმება სოციალ-დემოკრატები), თუ როგორ შეურიგებელია დამოუკიდებელ საქართველოსა და სომხების ინტერესი: კავკასიაში მოგროვილ სომხებს ცენტრი უნდა, და ასეთ ცენტრათ მათ უკვე გადააქციეს ჩვენი თბილისი; მთელი პოლიტიკა სომხებისა ახლა იმაში მდგომარეობს, რომ ერევანისა და თბილისის შუა მდებარე სახალქალაქის და ბორჩალოს მაზრები გაასომხონ და მერე თბილისი პოლიტიკურადაც ხელში ჩაიგდონ: სომხების ბუნებრივი მოკავშირე არის ოსობა, რომელიც ასეთსავე პლანს ანხორციელებს ჩრდილოეთიდან, და რუსობა, რომელსაც ყველაფერი ურჩევნია, ოღონდ კი არა თავისუფალი საქართველო. დღეს სომხებს ინგლისის სამხედრო მხარის დაჭერის იმედიც მიეცათ და პირდაპირ ომს გვიცხადებენ“. სომხების ასეთ სულისკვეთების დამამტკიცებელი საბუთი, რასაკვირველია ბ. ვეშაპელს არ მოყავს და თუ ის მაინც უსაბუთოდ სომხობას ასეთ მისწრაფებას სწამებს და ამ მისწრაფებაზე აშკარად ამბობს, მხოლოთ ერთი მისწრაფებით, ერთი სურვილით—რაც შეიძლება გააღრმაოს ჩვენსა და სომხობას შორის უთანხმოება, ერთი მეორეს წაჰკიდოს ჩვენი და სომხის ერის დემოკრატია. კიდევ უფრო უსაბუთოა ბ. ვეშაპელის აზრი ოსობაზე, რომელსაც ბ. ვეშაპელი ორგანიულათ ვერ ინელებს დიდი ხანია და მუდამ მიზეზით თუ უმიზეზოთ ჩვენს მოღალატეობას და მტრობას უკიჟინებს. რაც შეეხება რუსობას, თუ ბ. ვეშაპელი აქ გულისხმობს რუსის მოხელეებს ამიერკავკასიის გაუქმებულ დაწესებულებათა, ის, რასაკვირველია, მტერია ჩვენი დამოუკიდებლობის, მაგრამ თუ რად დასჭირდა ამაზე ლაპარაკი ბ. ვეშაპელს როდესაც ის ეხება ქართველ-სომეხთა ურთიერთობას, სწორედ გაუგებარია.

საინტერესოა, თუ რას გვირჩევს ბ. ვეშაპელი, თუ მას დავეთანხმებით, რომ სომხის ხალხს აგრესიული მისწრაფება აქვს ჩვენი რესპუბლიკის წინააღმდეგ. აი სწორედ აქ ჩნდება სავსებით ჩვენი შოვინისტების, ჩვენ დრომოჭმულ თავადაზნაურთა მებაირახტრეთა სულისკვეთება, მათი რეაქციონური მისწრაფება. „საქართველოს უნდა თავიდან დაეფასებია, თუ რა სასიკვდილო მტერია საქართველოსი დედა-ქალაქ თბილისის მაძიებელი სომხობა და რუსობა და თავიდანვე მორიგეობდა საქართველოს ისტორიულ მეზობლებს: ჩაჩნეთ-დაღესტანის მთიულებს და ადერბეიჯანელ თათრებს, მაშინ გაჭირვების დროს ჩვენი ზურგი მაინც იქნებოდა უზრუნველყოფილი“,—დინჯათ ბრძანებს ბ. ვეშაპელი, მაგრამ რადგან საქართველომ ბ. ვეშაპელთა რეცეპტით არ ისარგებლა და ევროპისკენ იბრუნა პირი და არა ოსმალეთ-ადერბეიჯანისკენ, ახლა მაინც ბ. ვეშაპელი იმედოვნებს, რომ მის აზრს უფრო ყურადღებით მოვეპყრობით და მამა-შვილურათ გვირჩევს „შემოვიკრიბოთ რაც რომ სამხედრო ძალა გვაბადია, თუ არ გვყოფნის შევეკრათ კავშირით ადერბეიჯანსა და მთიულებს და ერთხელ და სამუდამოთ გაუჭყლეტოთ თავი სომხურ პოლიტიკას: გავსწმინდოთ ულმობელად ჩვენი დედა ქალაქი შემოხიზნულ სომხობისგან და შემოსულ სომხურ ჯარებთან ერთად საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი სომეხი კოლონისტებიც გოგჩის ტბისკენ ჩავრეკოთ“.

ამაზე ბ. ვეშაპელს უნდა მოვახსენოთ, რომ ძვენ, რასაკვირველია, გვსურს კეთილი განწყობილება და მშვიდობიანობა ყველა ერებთან, არავის ჩვენ არ ვეომებით და არავისთვის ჩვენს რესპუბლიკას ავი არ სურს; საქართველოს სურს კეთილი მეზობლობა გაუწიოს ყველა მოსაზღვრე სახელმწიფოებს, მაგრამ, თუ ვინმემ მოისურვა მისი ინტერესების და თავმოყვარეობის შელახვა, ის შესძლებს საკადრისი პასუხი გასცეს. ერთი კი უნდა ითქვას: ქართველი ხალხი იარაღს ხელში აიღებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ცდა ყოველივე უთანხმოების მშვიდობიან გზით გადაწყვეტისა უნაყოფო გამოდგება; გარდა ამისა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა არასოდეს თავს ნებას არ მისცემს ადერბეიჯანის თათრების და ღაღესტანის მთიულების საშუალებით შემუსროს, დაშნაკელების ავანტიურის გამო, სომხის დემოკრატია. რასაკვირველია ჩვენ კარგათ გვესმის, რომ ბ. ვეშაპელს მარტო ასეთ კონკრეტიულ შემთხვევებისთვის როდი სჭირდება კავშირი თათრებთან და მთიულებთან; არა, მას საზოგადოთ ესაჭიროება დაახლოვება საქართველოსი აღნიშნულ ხალხებთან, რომელთაც შეუძლიანთ რამოდენიმეთ მაინც რეაქცია შემოაპარონ ჩვენს ქვეყანაში, რომლის დემოკრატიულ ატმოსფერაში სული ეხუთება ბ. ვეშაპელის მიმდევართ. ნურას უკაცრავად, თუ ქართველი დემოკრატია კეთილ მეზობლობას გაუწევს ადერბეიჯანს და დაღესტანს, მაგრამ საქართველოში ახალ ცხოვრების მშენებლობის დროს ისი სარგებლებს ევროპის გამოცდილებით და მაგალითებით და გადმოიტანს ჩვენში ევროპის დემოკრატიის (და არა ადერბეიჯანის თათრების) მისწრაფებებს და სულისკვეთებას.

რაც შეეხება გოგჩის ტბისკენ სომხის დემოკრატიის გარეკას, ეს წინადადება ბ. ვეშაპელისა მოგვაგონებს პურიშკევიჩ-დუბროვინების წინადადებას ებრაელების არხანგელსკის გუბერნიაში დასახლების შესახებ. თავისთავად ცხადია, რომ თუ თვითმპყრობელმა მთავრობამ არ მოისურვა ცხოვრებაში გატარება პურიშკევიჩ-დუბროვინების ნაჩვენებ ზომისა რუსეთის „არა სასურველ ელემენტებისაგან“ გასაწმენდათ, მით უმეტეს ქართველი დემოკრატია არ მოისურვებს დაშნაკელების უკულმართ პოლიტიკის გამო დაჩაგვროს სომხის დემოკრატია, რამდენიც არ უნდა შეეცადონ ამას ჩვენი კაცისჭამია ურა-პატრიოტები. დარწმუნებული უნდა ვიყოთ. რომ სულ მოკლე ხანში ყოველივე გაუგებრობა ჩვენს და სომხის დემოკრატიას შორის მოისპობა და ორივე დემოკრატია ხელი-ხელ ჩაკიდული ერთად იმუშავებენ ბედნიერ მომავალის შესაქმნელად.

ვ. ს.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტოსაგან).

ბ ე რ ლ ი ნ ი. 27 ოქტ. სამხედრო ცნობა. დასავლეთის ფრონტი. კრონპრინცი რუპრეხტის არმია. ფლანდრიაში ღირსაღსანიშნავი არაფერი მომხდარა. მტერი განაგრძობს ჩვენი ფრონტის უკან მდებარე ბელგიის ადგილების განადგურებას მცხოვრებთა უმრავლესობა, რომელიც ოტეგეგზე და გომგემზე ყუმბარების დაშენის დროს ცდილობდა თავი დაეფარა სარდაფებში, დაიღუპა. შელდის სამხრეთით, ფამტრის და პიტრის შუა კონტრიერიშებით მოვიგერიეთ მტრის ძლიერი იერიშები. მტერმა შესძლო ენელ. ონტენსა და სევში შემოჭრა. კონტრ იერიშით მტერი ხევიდან განვდევნეთ.

გერმანიის კრონპრინცის არმია. უაზიდან ენამდე ფრანგები იერიშებს განაგრძობენ. ორინიის ორივე მხარეზე მტერი მოვიგერიეთ ჩვენი ხაზების წინ, მტერი, რომელმაც შესძლო პლეინ-სელვთან ჩვენ პოზიციებში შემოიჭრა შევაჩერეთ ამ დაბის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის მაღლობზე. მტერი შეეცადა სამხრეთით გაერღვია ჩვენი პოზიციები უაზთან, მაგრამ დიდი ზარალით უკუ ვაგდეთ. ორინი და მის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე მაღლობები, სადაც მტერს დიდი ძალებით და ტანკებით იერიში მოქონდა ჩვენ შევინარჩუნეთ მტრის ტანკები გავანადგურეთ. ლეიტენანტ ეფგოფერიხს და ვიუმკეს ბატარეიებმა და აგრეთვე ლეიტენანტ ოტტის 445 პოლკმა ამ ბრძოლაში განსაკუთრებული სიმამაცე გამოიჩინეს სერის სექტორში მორტიერის მხრიდან მტერის იერიში შეეაჩერეთ ჩვენი ხაზის წინ. სუშეს სექტორში ფრუადმონსა და პიერმონის შუა პოზნანის და ვიურტენბურის პოლკებმა მტრის ძლიერი იერიშები მოიგერია. საღამოთი მტრის ძლიერი იერიშები მოიგერია ფუზილერის 37 პოლკმა, 119 გრენადერთა და 121 ქვეითა პოლკებმა. სისონის ორივე მხარეზე მტრის ქვეითა ჯარს არ უმოქმედია. მდინარე ენის დასავლეთ მაღლობზე-საქსონის ტყეში, ჩვენ კონტრიერიშებით შევეგებეთ მტერს, რომელიც ნიზი-ლე-კონტის და ენის შუა იერიშებს აწარმოებდა. მტერს დიდი ზარალი მიაყენა ჩვენმა არტილერიამ. აქ და ბარონის დასავლეთით მტერი დავამარცხეთ. მდინარე ენის დასავლეთით მთელი დღის განმავლობაში ძლიერი ბრძოლა სწარმოებდა, რომელიც ჩვენ სასარგებლოთ დასრულდა. ბრძოლა დასრულდა ბაგონ-შატო-პორსიენის გზაზე.

ახალი ამბავი.

დ ე ბ ე შ ი. სამხედრო მინისტრმა ერევანიდან მიმართა მინისტრთა მოსამდგომარეს. ნაარსის დეპეშა: „თქვენს რადიოტელეგრამის საპასუხოთ, რომელიც მივიღეთ ერევანში 25 ოქტომბერს 23 ს. 18 წუთ.—ჩვენს ჯარს გაეცა ბრძანება დაიკავონ ადგილები, რომელიც დასტოვეს თურქებმა. ბრძანება განმეორებულ იქნა. კეროლოგაეცა განკარგულება გასწმინდონ კორინჯი-ცატერი, რომელიც დაკავებული იყო თავდაცვის მიზნით. თქვენის მხრით მოახდინეთ განკარგულება, რომ თქვენმა ჯარმა შესწყვიტოს „გამომწვევი“ მოქმედება. კონფლიქტის მშვიდობიანის გზით გადასაწყვეტათ და საზღვრების საკითხის გამოსარკვევათ წინადადება გაძლევთ მოწვეულ იქნას ქართულ-სომხური კონფერენცია.

მინისტრთა თავმჯდ. ჯაჩაზნუნი.

— დ ე ბ ე შ ი. სანაინიდან სამხედრო მინისტრს მოუვიდა შემდეგი შინაარსის დეპეშა: „26 ოქტომბერს დილის 5 საათზე ჩემის ბრძანებით ჯავშნიან მატარებელმა № 4 გახსნა ცეცხლი იმ ბანდების წინააღმდეგ, რომელთაც დაკავებული ქონდათ მაღლობები. ჯავშნიან მატარებელმა ცეცხლით ბანდები გავფანტეთ. ჩვენს მოწინავე რაზმს ებრძანა შესულიყო სოფ. კორინჯში. სროლაში მიიღო მონაწილეობა ჩვენ „ზასტავამ“, რომელიც იმყოფებოდა 118 ვერსზე. სროლაში დაიჭრა ჯავშნიანი მატარებლიდან არტილერისტი ჯორბენაძე. ცხენოსან ასეულიდან ცხენოსანი გურჯალიანი. დილის 7 საათზე სამხედრო მოქმედება შეწყდა. როგორც გამოირკვა ნაწილი სომხების დელეგაციის გზა მოეგზავრა კარაკლისში, სადაც იმყოფება სომხების რაზმის უფროსი. უკანასკნელის ავათმყოფობის გამო მთავარ ხაზზე 118 ვერსზე ხიდთან გამოცხადდა პოლკოვნიკი კოროლკოვი, რომელიც მსახურობს სომხების რაზმში. პოლკოვნიკმა კოროლკოვმა გადმოსცა ხელმოწერილი დეპეშის დედანი, სადაც განკარგულებას ახდენდა დაეტოვებიათ სოფ. კარინჯი-ცატესი და ეცნობოს საქართველოს ჯარს ამაზე. ამ დეპეშის გამო მე მოვახდინე განკარგულება, შეეწყვიტა სამხედრო მოქმედება და ჯარის ნაწილს დაეკავებიათ კორინჯი-ცატესი. დანარჩენი ჯარი დავტოვე სანაინში. თუ სად შეჩერდა სომხის ჯარი ეს გადმოურკვეველია.

გენერალი წულუკიძე.

● ბაქოს ცნობები. ბაქოდან მოსულები იტყობინებიან, რომ სომხების დევნა იქ გრძელდება. მათ ყველგან სადაც დაინახავენ იჭერენ და ატყვევებენ, ამუშავებენ ურტყამენ და ხოცავენ. სხვათა შორის დატუსაღებულია ბაქოს ცნობილი მილიონერი თუმანიანცი, რომელსაც დღე და ღამ ამუშავებენ. როგორც დაახლოებით გამოანგარიშებულია დატუსაღებულია 4000 კაცამდე.

მაღაზიები ქალაქში გაღებულია მხოლოდ რუსების, თათრების და ებრაელების.

● 27 ოქტომბერს ჩერქეზოვის ქუჩაზე ნახეს ტომარა, სადაც ამოჩნდა ადამიანის მოჭრილი ფეხები.

● შრომის სამინისტრო შუადგომლობს მთავრობის წინაშე მიეცეს რკინის გზის მოსამსახურეებს შაქარი. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი აპირებენ გაფიცვას.

● შუამდგომლობა. ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებამ სთხოვა შინაგან საქმეთა მინისტრს ლტოლვილთა საჭიროებისათვის გადასცეს 150 ფუთი შაქარი და 25 ბოჩკა ერევანქა ჩაი.

სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—ცენტრალური კომიტეტი.